



ანარმთე საპართეველოში

სასტუმროს/ბალნეოლოგიური კურორტების (NACE კოდები: 55.10.1; 55.10.2) მინიმალური კრიტერიუმები და სასტუმრო/ბალნეოლოგიურ კურორტების ინდუსტრიასთან დაკავშირებული სერვისები

1. სასტუმროს მინიმალური კრიტერიუმები

ახალი სასტუმროს მშენებლობის შემთხვევაში – მინ. 5 ნომერი ან არსებული სასტუმროს გაფართოებისას/გადაიარაღებისას სავალდებულოა სასტუმროს მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

• სასტუმროს ნომერი:

სასტუმროს უნდა ჰქონდეს 1-ოთახიანი ან მრავალთახიანი ნომრები:

- ა) 1-ოთახიანი ნომერი – 1-ადგილიანი ან 2-ადგილიანი – არანაკლებ 18 კვ.მ, მათ შორის – სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 4 კვ. მ-ისა;
- ბ) მრავალთახიანი ნომერი (აპარტამენტი) 2-ადგილიანი ან 2+ ადგილიანი – თითოეულ სტუმარზე არანაკლებ 8 კვ. მ-ისა, მათ შორის – სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 2 კვ. მ-ისა.

• ბავშვის დამატებითი ლოგინი/EXREA BED:

ნომრებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საწოლის ჩამატების შესაძლებლობა.

• ლიფტი – თუ შენობა 2-ზე მეტსართულიანია:

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიფტი არაეფექტურია ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით და არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით):

- ა) შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული მახასიათებლებიდან გამომდინარე, სალიფტე შახტის შესრულება შეუძლებელია;
- ბ) შენობა-ნაგებობა განლაგებულია ისეთ რთულ რელიეფზე (ფერდობზე, ტერასაზე და სხვა), რომელიც არ იძლევა სალიფტე შახტის შესრულების საშუალებას;
- გ) არ შეესაბამება შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და საყოფაცხოვრებო ნორმებს;
- დ) თუ შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისი ადაპტაცია გამოიწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას.

• სანიტარიული კეთილმოწყობა და ელექტრომომარაგება:

- ა) გარე განათება;
- ბ) შენობის შიდა ფართობის განათება;
- გ) საშხაპე/აბაზანა, ხელსაბანი, უნიტაზი;
- დ) სასტუმრო ოთახ(ებ)ისა და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება.

• ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიცირება:

- ა) ნომერში არანაკლებ ერთი ფანჯრისა ბუნებრივი განათებისათვის (ხმაურდამცავი მინაპაკეტით);
- ბ) ოთახების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა), აღჭურვილი ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;
- გ) დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა).

• უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნა:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია ქართულ და უცხო ენებზე;
- ბ) სავაკუაციო სქემა სტუმრისთვის თვალსაჩინო ადგილას.



ანარგონი სპარტმელოში

• უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნა:

- ა) სასტუმროსთან ეტლით მისასვლელი პანდუსი;
- ბ) შენობის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;
- გ) ლიფტით, ეტლით გადაადგილება;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასტუმროში განთავსების საშუალება.

• სტუმართა რეგისტრაცია (რეგეფცია):

- ა) განცალკევებული, დამოუკიდებელი რეგისტრაციის ადგილი;
- ბ) მინიმუმ სამადგილიანი მოსასვენებელი რეგეფციასთან;
- გ) სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში.

• კვების ობიექტი:

სასადილო ან რესტორანი.

2. სასტუმროს/ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიასთან დაკავშირებული სერვისები (აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობები შესაძლოა, განხორციელდეს ასევე, სასტუმროს გაფართოების/გადაიარაღების მიზნობრიობით სესხით/სალიზინგო პროექტით სარგებლობის შემთხვევაშიც)

I 55.2	დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები
I 55.9	სხვა განთავსების საშუალებები
I 56.10.0	რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები
J 59.14.0	კინოფილმების ჩვენება
R 90.0	შემოქმედებითი, სახელოვნებო და გასართობი საქმიანობები
R 91.0	ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმებისა და კულტურის სხვა დაწესებულებების საქმიანობები
R 93	საქმიანობები სპორტის, გართობისა და დასვენების სფეროში
S 96.01	ტექსტილისა და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა
S 96.02	საპარიკმახეროებისა და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება
S 96.04	გამაჯანსაღებელი საქმიანობები
S 96.09	სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი